ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ენა

(2) **1.** მოსწავლემ დაწერა: *ღამღამობით ბუ ჯდება ხოლმე ხმელ წიფელზე და მოჰყვება გულ-მოკლული ძახილს.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **2.** მოსწავლემ დაწერა: *კონცერტზე ანამ შესანიშნავი ცეკვით ყველა გაანცვიფრა.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **3.** მოსწავლემ დაწერა: *ისეთი წყნარი საღამოა, სჩანს, ხვალ კარგი ამინდი იქნება.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **4.** მოსწავლემ დაწერა: *საზეიმო შეხვედრის დასრულების შემდეგ მხატვარმა სკოლას საჩუქრად მისი ნახატი გადასცა.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **5.** მოსწავლემ დაწერა: *30 აგვისტოს ილია მეუღლესთან ერთად საგურამოსკენ გაემგზავრნენ.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **6.** მოსწავლემ დაწერა: *ბავშვები მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, მხიარული ყიჟინით გაცვივდნენ გარეთ.*

მიუთითეთ მას, რა შეცდომა დაუშვა.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(11) **7.** წაიკითხეთ ნაწყვეტები ილია ჭავჭავაძის წერილიდან:

„ჭეშმარიტი განათლება განვითარებული გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის და, ჩვენის ფიქრით, ისევ გონებაგანუვითარებელი და ზნე-ხასიათგაწურთვნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე-ხასიათგაუწვრთნელი... ზნე-ხასიათის წვრთნა ერთი უდიდესი საგანია სკოლისა, რადგანაც გაადამიანება კაცისა თავი და ბოლოა ყოველგვარი წვრთნისა და განათლებისა.“

(2) **I.** ჩამოაყალიბეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.

(3) **II.** იმსჯელეთ, რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა დღეს.

(2) **III.** ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისის როგორც გასამყარებლად, ისე უარსაყოფად.

(3) **IV.** იმსჯელეთ, რომელი არგუმენტია თქვენთვის უფრო მისაღები და რატომ.

გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში თქვენ მიერ დაშვებული იქნება ერთი გრამატიკული ან პუნქტუაციური შეცდომა, ან სტილისტიკური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

(12) **8.** გაასწორეთ მოსწავლის ნამუშევარი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით და დაწერეთ კომენტარი.

I. შეაფასეთ ნამუშევარი თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და დაწერეთ შესაბამისი ქულები. თქვენი შეფასება დაასაბუთეთ შემდეგნაირად: I კრიტერიუმით შეფასების კომენტირებისას მოიხმეთ სათანადო მაგალითები თხზულებიდან; II და III კრიტერიუმებით შეფასების კომენტირებისას კი ამოიწერეთ ყველა შეცდომა და ხარვეზი (მხოლოდ მცდარი ფორმები და შესიტყვებები). თითოეულ მათგანს მიუწერეთ, რა ტიპს მიეკუთვნება – ორთოგრაფიულს, მორფოლოგიურს, პუნქტუაციურს, სინტაქსურსა თუ სტილისტიკურს.

II. ჩამოაყალიბეთ სათანადო რჩევები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება მოსწავლეს ანალოგიური დავალების უკეთ შესრულებაში.

გაითვალისწინეთ: თუ ამ დავალების პასუხში თქვენ მიერ დაშვებული იქნება ერთი გრამატიკული ან პუნქტუაციური შეცდომა, ან სტილისტიკური ხარვეზი, დაგაკლდებათ 1 ქულა.

შეფასების სქემა

N	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	ქულები
I	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება და ციტირება)	ა) მსჯელობა მკაფიოა, არგუმენტირებულია, არგუმენტები გამყარებულია შესაბამისი მაგალითებით; ბ) მსჯელობა ნაწილობრივ არგუმენტირებულია, არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით ან დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა; გ) ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული, მსჯელობა არადამაჯერებელია, მაგალითებიც არაადეკვატურად არის მოხმობილი.	2 1 0
II	ლექსიკა და სტილი	ა) აზრი ზუსტად და მკაფიოდ არის გამოხატული, ნაწერის სტილი გამართულია; ბ) აზრი ზუსტად არის გამოხატული, მაგრამ ლექსიკა მწირია ან გვხვდება სტილისტიკური ხარვეზები; გ) აზრი ძირითადად გასაგებია, მაგრამ ნაწერის სტილი გაუმართავია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა.	2 1 0
III	ორთოგრაფია, მორფოლოგია, სინტაქსი და პუნქტუაცია	ა) არ არის ამ ტიპის სამზე მეტი შეცდომა; ბ) არ არის ამ ტიპის ექვსზე მეტი შეცდომა; გ) ამ ტიპის შეცდომა ექვსზე მეტია.	2 1 0

მოსწავლისათვის შეთავაზებული დავალება:

ტექნოლოგიური საშუალებებით გადატვირთული გარემო ზღუდავს ადამიანის წარმოსახვას, უკარგავს მას ძიებისა და ახლის აღმოჩენის სურვილს.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

მოსწავლის ნამუშევარი:

შეუძლებელია იმის თქმა, რომ ტექნიკით გადატვირთული გარემო უკარგავს ადამიანს ძიების სურვილს. თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე უდიდესი როლი მიენიჭა ტექნოლოგიურ საშუალებებს. მათი დახმარებით გამარტივდა ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების წესი. ტექნოლოგიათა მრავალფუნქციურობის ხარჯზე ადამიანს შეუძლია ამოუწურავათ გამოიყენოს მათი რესურსი. ტექნოლოგია მუდმივად გვთავაზობს მრავალ ახალ შესაძლებლობებს და ჩვენ მისი რესურსი გონივრულად უნდა გამოვიყენოთ.

თანამედროვე ციფრული სამყარო შექმნილია ადამიანის წარმოსახვისა და ახლის აღმოჩენის სურვილის წყალობით. იგი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გავიფართოოთ წარმოსახვის უნარი და ვეძიოთ ახალი შესაძლებლობები.

ის, რომ ტექნოლოგიები ხელს უწყობენ ადამიანის წარმოსახვის განვითარებას, ადასტურებს ისიც, რომ საქართველოში შეიქმნა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების ახალი მეთოდი, რომელიც გულისხმობს მის შესწავლას კომპიუტერით, გრაფიკულად, თამაშის მეშვეობით. ეს ნიშნავს რომ ბავშვები იმოგზაურებენ „ვეფხისტყაოსანის“ სამყაროში და შეეძლებათ თავისი ფანტაზია ტექნიკის საშუალებით განავრცონ.

მსოფლიო ვითარდება, ადამიანის გონება და შემოქმედებითობის უნარი უსაზღვროა და ის, რაც ადამიანს განვითარებაში ეხმარება არის ციფრული სამყარო. მისი დახმარებით ნელნელა ნებისმიერი ფანტაზია შეიძლება რეალობად აქციო. ჩემი აზრით თანამედროვე ტექნოლოგიური გარემო გვაძლევს მოტივაციას გავიზარდოთ შემოქმედებითად და ამავდროულად გზას გვიხსნის უსაზღვრო შესაძლებლობებისაკენ. ამიტომ ის აზრი, რომ ასეთი გარემო ზღუდავს ადამიანის წარმოსახვას მცდარია.

II. ქართული ლიტერატურა

(1) **9. იაკობ ხუცესის ტექსტის განხილვის დროს მოსწავლემ იკითხა:** რამდენად მისაღებია ჰაგიოგრაფიულ ტექსტში საუბარი იმის შესახებ, რომ ქრისტიანობისთვის წამებულ დედოფალს ამქვეყნიური ცხოვრების დატოვება უჭირს?

რომელი მოსაზრება შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლის საპასუხოდ?

ა) გმირის არცთუ ბოლომდე ორთოდოქსული მიდგომა სოფლისა და ზესთასოფლის ურთიერთმიმართებისადმი უცხო არ არის ჰაგიოგრაფიისათვის.

ბ) დედოფლისადმი პირადი კეთილგანწყობის გამო მწერალი დოგმატური ქრისტიანობის მკაცრ მოთხოვნებს ივიწყებს და რეალურ მდგომარეობას გადმოგვცემს.

გ) მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრებით ტკბობა ქრისტიანობას მიუღებლად არ მიაჩნია და დედოფლის განცდებიც სწორედ ამ პოზიციიდან უნდა განვიხილოთ.

დ) ქრისტიანობა არ მიჯნავს სოფელსა და ზესთასოფელს, ამდენად, ამქვეყნიური ცხოვრების ვერდათმობაზე საუბრით ავტორი ჟანრის კანონს არ ეწინააღმდეგება.

(1) **10. რა განაპირობებს „აბო თბილელის წამების“ უნიკალურობას სხვა ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებთან შედარებით?**

ა) ნაწარმოების სათაურშივე არის ინფორმაცია დამკვეთის შესახებ.
ბ) ნაწარმოებს წინ უძღვის ავტორისა და დამკვეთის მიმოწერა.
გ) ნაწარმოებში არაქართველი წმინდანის ცხოვრებაა აღწერილი.
დ) ნაწარმოებში ღვთის ქრისტიანული სიმბოლოები არის განმარტებული.

(1) **11. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლის დროს მოსწავლემ იკითხა:** რატომ არ მოუწონა გრიგოლ ხანძთელმა საბა იშხნელს გადაწყვეტილება, რომ პირველი ნახვისთანავე იშხნის ძველი მონასტრის აღსადგენად დარჩენილიყო?

რომელი მოსაზრება შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლის საპასუხოდ?

ა) გრიგოლ ხანძთელი მიიჩნევდა, რომ საბას თავისი განზრახვა ჯერ ხანძთელი ბერებისთვის უნდა ეცნობებინა და მხოლოდ ამის შემდეგ დამკვიდრებულიყო იშხანში.

ბ) გრიგოლ ხანძთელი მიიჩნევდა, რომ საბას თავისი განზრახვა ჯერ აშოტ კურაპალატისთვის უნდა შეეთანხმებინა და მხოლოდ ამის შემდეგ დამკვიდრებულიყო იშხანში.

გ) გრიგოლ ხანძთელი მიიჩნევდა, რომ საბას თავისი განზრახვა ჯერ ბაგრატ კურაპალატისთვის უნდა შეეთანხმებინა და მხოლოდ ამის შემდეგ დამკვიდრებულიყო იშხანში.

დ) გრიგოლ ხანძთელი მიიჩნევდა, რომ საბას თავისი განზრახვა ჯერ შატბერდელი ბერებისთვის უნდა გაენდო და მხოლოდ ამის შემდეგ დამკვიდრებულიყო იშხანში.

(1) **12. მოსწავლემ დასვა შეკითხვა:** კონკრეტულად რა იგულისხმება ნათქვამში, რომ ქართულ ჰიმნოგრაფიას დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესასწავლად?

რომელი წინადადება შეიძლება გამოვიყენოთ ამ კითხვის პასუხად?

ა) ქართველმა ჰიმნოგრაფებმა, რომლებიც ათონის მთაზე მოღვაწეობდნენ, საფუძველი ჩაუყარეს ჯერ ქართულენოვან, შემდეგ – ბერძნულენოვან ჰიმნოგრაფიას.

ბ) ქართულმა ჰიმნოგრაფიამ გაუკვალა გზა ებრაული და სირიული ჰიმნების თემებს ბერძნულ ჰიმნოგრაფიაში, რაც ამ უკანასკნელის განვითარების იმპულსად იქცა.

გ) ქართულმა ჰიმნოგრაფიამ შემოგვინახა ბერძნულ საგალობელთა უძველესი თარგმანები, მათ შორის ისეთებიც, რომელთა დედნები დღემდე მიკვლეული არ არის.

დ) ძველი ქართული ჰიმნოგრაფიის სალექსო ფორმა გახდა ბერძნული ჰიმნების ლექსთწყობის მოდელი, რამაც „პროზაული ჰიმნების“ ეპოქის დასასრული დააჩქარა.

(1) **13. რომელი ჰიმნოგრაფიული ტექსტის ალუზიაა „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონი:** *„გამოჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად...“?*

ა) დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“.
ბ) დავით წინასწარმეტყველის „ფსალმუნი“.
გ) დემეტრე მეფის „ღვთისმშობლისანი“.
დ) უცნობი ავტორის „გალობანი სულისანი“.

(1) **14. რა კრავს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ კომპოზიციურ ქარგას?**

ა) ლეონის ცხოვრების გზის აღწერა.
ბ) სედრაქისა და რუქას დაპირისპირება.
გ) სწავლა-აღზრდის საკითხებზე მსჯელობა.
დ) ფინეზ მეფის სამეფო კარის ამბავი.

(1) **15. დავით გურამიშვილის „დავითიანში“ ვკითხულობთ:**

„ნერგად მას ვსახავ, იგ რაც ხე ისახა იესესითა...
შტო-მორჩად ქართველთ უფალთა, ვინც მაზე ბმულ ჩანს ფესვითა“.

რა იგულისხმება ამ სიტყვებში?

ა) ბაგრატიონთა დინასტიის ქართველი მეფეები ბიბლიური დავითის შთამომავალნი არიან.
ბ) „დავითიანის“ ავტორი დავით მეფსალმუნეს თავის ლიტერატურულ წინაპრად მიიჩნევს.
გ) ქართველი მეფეები უფლის მოწამებრივ გზას დღემდე ღირსეულად აგრძელებენ.
დ) ქართველი ხალხი ერთ-ერთი პირველია, რომელიც ქრისტიანობას უფლის ნებით ეზიარა.

(1) **16. ზოგი მკვლევარი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლირიკის ერთ ნაწილს „ანაკრეონტულს“ უწოდებს.**

რა იგულისხმება „ანაკრეონტულ პოეზიაში“?

ა) პოეტური ტექსტები, რომლებშიც ავტორის რელიგიური გრძნობები და მატერიალურ ღირებულებათა უარყოფაა გამოხატული.

ბ) პოეტური ტექსტები, რომლებშიც სამშობლოს მძიმე ყოფა და ამ ვითარებიდან გამოუვალობის განცდაა გამოხატული.

გ) პოეტური ტექსტები, რომლებშიც სიცოცხლით ტკბობა, ხორციელი სიყვარული და დროსტარებით მოგვრილი შვებაა ასახული.

დ) პოეტური ტექსტები, რომლებშიც ტრფობის ტრაგიკული განცდა და საყვარელი ქალის მიუწვდომლობაა ასახული.

(1) **17. განჯიდან 1893 წელს ჩამოსვენებული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი 1938 წელს მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს.**

სად იყო დაკრძალული ნიკოლოზ ბარათაშვილი დროის ამ მონაკვეთში?

ა) დიდუბის ეკლესიის გალავანში.
ბ) კალოუბნის ეკლესიაში.
გ) პეტრე-პავლეს ეკლესიის ეზოში.
დ) ქაშვეთის ეკლესიაში.

(1) **18. ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ რომანტიზმისთვის დამახასიათებელი პასაჟები შეინიშნება.**

რომელ ციტატას მიაწვდით მოსწავლეს ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ?

ა) „არის ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს“.

ბ) „მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავის გულისტკივილი... და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა?“

გ) „მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა“.

დ) „მყინვარი!.. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს“.

(1) **19. ჩამოთვლილთაგან რომელ ნაწარმოებებში არის გამოყენებული ცისარტყელა, როგორც ქვეყნის ბედნიერი მომავლის სიმბოლო?**

ა) აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ და ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“.
ბ) აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“ და ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“.
გ) გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“
დ) ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ და აკაკი წერეთლის „ნათელა“.

(1) **20. „ხევისბერი გოჩას“ მიხედვით, ვის შორის და რა მიზნით უნდოდა უთანხმოების ჩამოგდება ნუგზარ ერისთავს?**

ა) გუდამაყრელებსა და ქართლელებს შორის, რათა მის ძალაუფლებას საფრთხე არ დამუქრებოდა.

ბ) მოხევეებსა და მთიულებს შორის, რათა ორივე დაესუსტებინა და მათზე ებატონა.

გ) მოხევეებსა და ოსებს შორის, რათა გაერთიანებული ძალით მას არ დაპირისპირებოდნენ.

დ) მოხევეებსა და ოსებს შორის, რათა მოხევეების დახმარებით ოსებზე შური ეძია.

(1) **21. გრიგოლ კიკნაძე წერს:** „ვაჟა-ფშაველა უსულო საგნებისა და მოვლენების უბრალო გასულიერებით არ კმაყოფილდება. მათი გასულიერება უმაღლეს საფეხურზე, გაპიროვნების, ანუ პერსონიფიცირების საფეხურზეა ასული... ვაჟამ უსულო საგნებს მაღალი სულიერი შინაარსი, მაღალი სულიერი თვისებები მიანიჭა“.

ჩამოთვლილთაგან რომელ ნაწარმოებს გამოიყენებთ ამ მოსაზრების დასასაბუთებლად?

ა) „დაგვიანებული პასუხი აკაკის“.
ბ) „კაი ყმა“.
გ) „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“.
დ) „ღამე მთაში“.

(1) **22. დავით კლდიაშვილის შემოქმედების შესწავლისას მოსწავლემ იკითხა:** „ვის ეკუთვნის კლდიაშვილის პერსონაჟთა გავრცელებული შეფასება „შემოდგომის აზნაურები?“

ჩამოთვლილთაგან რომელი პასუხია სწორი?

ა) დავით კლდიაშვილის პერსონაჟებს „შემოდგომის აზნაურები“ პირველად მწერლის შვილმა, სერგო კლდიაშვილმა, უწოდა თავის მემუარებში.

ბ) დავით კლდიაშვილის პერსონაჟებს „შემოდგომის აზნაურები“ უწოდა ანონიმმა კრიტიკოსმა და ამის შემდეგ დამკვიდრდა ლიტერატურათმცოდნეობაში.

გ) მეტაფორა „შემოდგომის აზნაურები“ ეკუთვნის თვითონ დავით კლდიაშვილს და მწერალმა იგი გამოიყენა მოთხრობაში „მსხვერპლი“.

დ) მეტაფორა „შემოდგომის აზნაურები“ ეკუთვნის თვითონ დავით კლდიაშვილს და მწერალმა იგი გამოიყენა მოთხრობაში „ქამუშაძის გაჭირვება“.

(1) **23. რომელი მონაკვეთი წარმოადგენს ალუზიას გიორგი ლეონიძის ლექსში „ნინოწმინდის ღამე“?**

ა) „ნინოწმინდა... პალატები მეფეთა.
გალავანში – ჯამი აქაფებული“.

ბ) „ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა...
ძმობამ, ცრემლმა, იმ პატარა იარამ!“.

გ) „შენი სახე რისთვის შემომეფეთა,
ხატი იყავ – ვეფხვი დაქალებული“.

დ) „ცა – ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა,
და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა“.

III. მხატვრული ტექსტის ანალიზი (20 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები ლავრენტი არდაზიანის რომანიდან „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“:

„ჩემო უძვირფასესო, დედიდა მაკრინე!

მე მივიღე თქვენი თორმეტი წიგნი და, აი, ახლა გწერ პასუხსა.

თქვენ მემდურით, რომ დავინიშნე და ჯვარი დავიწერე თქვენ შეუტყობლივ. მემდურით, რომ თქვენს შუამავლობას პატივი არ ვეცი; მემდურით, რომ ჩემს ამბავს, ჩემს ყოფა-ცხოვრებას არ გატყობინებ; მემდურით, რომ არც ერთს წიგნზე პასუხს არა გწერ.

მე მქონდა შესაწყნარებელი მიზეზი, რომ დავრჩი თქვენთან ყოველს დროს უკაცრავად: უმიზეზოდ არა იქნება-რა. იმედი მაქვს, შეიტყობთ რა ამ მიზეზს, აღარ გამკიცხავთ, აღარ დამემდურებით.

მომისმინეთ:

თქვენ მაშინ მობრძანდით ჩემთან შუამავლად, როდესაც მე ვიყავ კიდეც დანიშნული კნიაჟნა ელენეზე, მაგრამ ადრეც რომ მობრძანებულიყავით ჩემთან შუამავლად, მაინც კიდევ ვერ შევირთავდი სოლომონ ისაკიჩის ქალს: იმიტომ რომ მე მიყვარდა ელენე, თვალი მეჭირა ელენეზე და იმისს გარდა სხვას არავის შევირთავდი. თამარ, დიაღ ჩინებული ქალია, ღირსია ჩემზედ უკეთესის ქმრისა, მაგრამ მე და თამარ არ ვიყავით ერთმანეთისთვის დაბადებულნი.

ქორწილში ვერ მოგიწვიე იმიტომ, რომ ქორწილი ჩემი მოხდა სწრაფად, ორ-სამ დღეს – ისიც სოფელში და არა ტფილისში. მე დავიწერე ჯვარი სოფ. წითლიანს, ჩემს მამა-პაპის სალოცავ ეკლესიაში; ქორწილი გადავიხადე ჩემს მამა-პაპის სახლში.

ოჰ, მაკრინე! აღარა მენატრება-რა, სრული ბედნიერი ვარ! ელენე განხორციელებული ანგელოზია!

დიაღ, მე ვარ ბედნიერი, მომატებულს აღარას ვნატრობ! ასე გასინჯეთ, ბუნებაც კი ჩემთან იშვებს. წარმოიდგინეთ მაღალი კორდი, ამ კორდზედ დგას ჩემი სახლი, რომელიც დაჰყურებს ერთის მხრით მდინარესა, საშუალ ჭალაკის მორბინავსა, მეორე მხრით ტყიან ღელესა და ამას იქით სოფ. წითლიანსა; წინ, აღმოსავლეთით, მწვანეთ შემოსილს ვრცელს მინდორსა, რომელზედაც ჩვენს ახლო აქა-იქ ხარობენ დიდი კაკლის ხეები და სხვადასხვა ხეხილი, დასავლეთით ზვარსა, მშვენივრად შემუშავებულსა. დილით ადრე, უმზეოდ, წამოდგებით და ასი ათასის სხვადასხვა ფრინველთა საკვირველის გალობით დატკბებით. წმინდა, ცხოვე-

ლი ჰაერი ჩაგიდგამსთ ძარღვებში ყვავილებიდამ შეკრებილ სუნნელებას და ძალსა; მდინარე გამოგაფხიზლებსთ, გაგაცოცხლებსთ, გაგაყმაწვილებსთ; ტყე, მინდორი, მწვანე ვენახები დაგიტკბობენ, დაამშვიდებენ ყოველს თქვენს გრძნობასა. აქ მდინარის ხმიანობა და ფოთოლთ შრიალი, იქ ხბოსი და ძროხების ბღავილი, იქ მწყემსის სალამურის სტვენა აამებენ თქვენს სმენას. რა შეედრება ბუნების მშვენიერებას! სად ვიპოვით იმისს მზგავსებას!

ჩვენ არა გვძინავს, როდესაც ბუნება ხარობს სიცოცხლით: არა გვძინავს, რომ ბუნებამ მარტო თვითონ, უჩვენოთ არ იხაროს, მარტო თვითან არ ადიდოს დამბადებელი.

ელენეს ქცევა მაკვირვებს. მე სრულიად იმედი არა მქონდა, რომ ელენეს ნებივრობა არ დაეწყო. მაგრამ არა. ელენემ მოაწყო, მოკაზმა სახლი ისე კარგა, რომ უკეთესად მორთვა საჭირო აღარ არის. ელენემ მიიღო გამგეობა სახლისა და დაუზარებლივ აძლევს იგი სახლში განკარგულებასა. თქვენ ნახავთ სახლში სამაგალითო სისუფთავესა, მოსამსახურეებს წმინდად ჩაცმულსა. თქვენ ნახავთ ყოვლის სიკეთით სავსეს სახლსა. თქვენ ნახავთ წესსა, მშვიდობასა, სიხარულსა, ბედნიერებასა. თქვენ ნახავთ, როგორადაც მოსამსახურენი დაუზარებლივ, სიხარულით, ერთგულად აღასრულებენ თავიანთ თანამდებობასა! ვერ გაიგონებთ ორგულობასა, წინააღმდეგობასა, დრტვინვასა, საჩივარსა, ლანძღვასა და სხვა ურიგობასა. ყოვლის ამ სიკეთისა არის მიზეზი ელენე. ოო! ელენეს არა სძინავს! ელენეში ვერ იპოვი გამბნევსა, დაუდევნელსა და გამფუჭებელს ქალსა! ელენეში ვერ იპოვნით უგუნურ ამპარტავნობასა, მედიდურობასა, თავის თავის მოარშიყესა, დაუდგრომელს ქალსა!

მე მივიღე გამგეობა ყმისა და მამულისა. ყოველსავე მივეცი წესი, ყოველივე დავაყენე სწორე გზაზე. ყოველივე ჩემ თვალწინ კეთდება და მე არც მეთაკილება, არც მეზარება. რასაც ხუთი კაცი ხუთ დღეს აკეთებდა, ახლა იმასავე უნდება ორი კაცი ორს დღესა. ამ მცირე ხანს საცა გუთანს არ გაევლო, გაიარა; საცა ბარი არ მოხვედროდა, მოხვდა; საცა ვაზი არ იყო, ვაზით გაივსო; საცა წისქვილი არ იყო, გაკეთდა. მრავალი გავაკეთე, გავამშვენიერე: ყოველივე მოვიდა მოძრაობაში, ყოველივე აყვავდა. ყმას შეუმსუბუქდა ნახევრად სამსახური და მადლობელნი არიან ჩემი გლეხკაცები. შრომა არ მიფუჭდება, ბუნება უხვად მეწევა; ამიტომ რომ გლეხკაცი მუშაობს გულმონდომებით, სიტკბოებით, ერთგულად. ჩემი შემოსავალი გავრცელდა, და ამ შემოსავალსა, სარწმუნო ბრძანდებოდესთ, ქაღალდში არ წავაგებ ანუ არ გავაბნევ სათამაშო ნივთზე.

მაგრამ არ გეგონოსთ, რომ მოკლებულნი ვიყვნეთ ჩვენ ყოველს სიამოვნებასა. არა, თქვენ გაქვსთ თეატრი, ჩვენი თეატრია ბუნება, და ჩვენი თეატრი სჯობია თქვენსასა. თქვენი თეატრი არის დახატული, მაგრამ ბუნებისთანა მშვენიერი სად იქნება! თქვენ

ორკესტრზე ათ, ას, ათასწილ უკეთესად და მშვენიერად გალობენ, კონცერტს უკრავენ ასი ათასი ფრინველნი, რომელნიც გულს ატკბობენ, სულს ახარებენ. თქვენი დეკორაციები დახატულია, ჩვენი ნამდვილია. მგონია ნამდვილი სჯობდეს მილიონჯერ მოთხუპნულ ტილოებსა! ჩვენ კიდევ მით გჯობივართ, რომ ყოველ დღე უფასოდ ვსიამოვნებთ ჩვენს თეატრში.

დილით ადრე ვსჭვრეტთ, ვიგემებთ და ვძღებით საკვირველის ბუნების მშვენიერებით. დღე საქმეს ვაკეთებთ, საღამოს ხან ფეხით, ხან ცხენებზე, ხან ფაეტონით ვსეირნობთ. ღამე ვსჭვრეტთ ცის საკვირველებას, შევხარით, გვიკვირს და ვადიდებთ ღმერთსა. სტუმარი არ გვაკლია. ხშირად, თითქმის ყოველ ღამე, თქვენი გამოჯავრებული შევექცევით იარალაშსა, ხან ნარდსა, ხან ასონასსა, ხან წიგნებსა ვკითხულობთ. თქვენ ქალაქში მხოლოდ იარალაშს თამაშობთ, წიგნების კითხვის ხალისი კი ღმერთს არ მოუცია თქვენთვის! სხვა რითიღა მოგწონსთ ქალაქი? აქიმებითა? აფთიაქებითა? ღმერთმა მოგცეს თქვენ უხვად აქიმებიც და აფთიაქებიცა, ჩვენ კი დაგვიფაროს იმათგან.

ხედავთ, მაკრინე, როგორ ყოველ საათსა ვარ გართული. ეს არის მიზეზი, რომ თქვენს თორმეტ წიგნზე ამ ერთს პასუხს ძლივს გიგზავნი. მომიტევეთ.

თქვენი უსიამოვნო **ალექსანდრე რაინდიძე**“.

იმსჯელეთ, რა არის ავტორის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი გადმოცემული.

გაითვალისწინეთ: ნაშრომი, რომელიც 100 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება!